სახალხო გაზეთი

№ 370 პარასკევი, 5 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 370

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაილი ეზოდან.

პოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დ. ყვირილაში „სორაპნის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

ქმარი მიხეილ ქაიხოსროს ძე ბაქრაძე, შვილი მისი გიორგი, სიდედრი ნინო და სიმამრი დიმიტრი საგინაშვილები, ცოლის და მაგდალინა და ქვისლი ზაქარია ბოსტაშვილები მოუწოდებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რათა მობრძანდნენ 6 აგვისტოს, სოფელ ჩხიკვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში (ტფილისის მაზრა) საყვარელ და დაუვიწყარ

ელენე დიმიტრის ასულის ბაქრაძის

გარდაცვალების ორმოცის წირვაზე და განსვენებულის სამარესთან პანაშვიდზე დასასწრებლად. (1—752—1)

ანნა დავითის ასული და მარიამ დიმიტრის ასული ფარნიაშვილები, სიმონ ანდრიას ძე და ოლღა ოთარის ასული ფარნიაშვილნი შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაღიკულად გარდაცვალებას პირველი მეუღლის, მეორე ძმის და მესამენი კი ბიძაშვილის ძვირფას და დაუვიწყარ

ნიკო დიმიტრის ძე ფარნიაშვილისას.

დასაფლავება სოფ. ოძისში, შაბათს, 6 აგვისტოს. (1—13—1)

საჭიროა ქიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების თეატრისათვის რეჟისორი, ორი მსახიობი ქალი, ერთი კაცი და სუფლიორი, შემდეგის პირობით: წლის ვადა; ჯამაგირი თვიურად: რეჟისორს თვეში 80 მან. და ბენეფისი; პირველ მსახიობ-ქალს—60 მ. და ბენეფისი; მეორეს—40 მ.; მსახიობ კაცს—60 მ. და სუფლიორს—35 მან.

მსურველთ შეუძლიანთ გამოგზავნონ შესაფერი თხოვნები წერილობით, ან ტელეგრაფით, ქიათურის დრამატიულ საზოგადოების სახელობაზე, მხოლოდ 12 მარიამობისთვემდე; ამ დღეს იქნება გარჩეული ყველა. (3—1431—1)

გამოვიდა და იყიდება

ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ.

„ჩვენი საზოგადოებრიობა“

ფასი ოთხი აბაზი (ავტორის სურათით და წინასიტყვაობით).

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის თხზ. 1-ლი წ.

„ეროვნულ პრობლემის გარშემო“

ფასი 75 კაპ. (10—6)

„სორაპნის“ ამხ. გამოცემა მეექვსე წიგნი

„დრამები და კომედიები“

უკვე დაიბეჭდა და დაურიგდება ხელის-მოწერლებს პირველ ენკენისთვეს. (3—1430—1)

საბურთალოზე მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—108)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. ამბულატორულ ავადმყოფებს იღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ჯავთიაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., **დროებით წასულია.**

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

თრემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი ბ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—529)

ტელეფ. 795. ახალი კლუბი ტელეფ. 795.

(თ. აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

შაბათს, 6 აგვისტოს, 1911 წ.

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება ქართულ ენაზე: 1) „გეიშა“, კომ. სიმღერით, თარგმ. ა. იმედაშვილისა. 2) „საშოვნელს ნაშოვნი სჯობიან“, ვოდევილი 1 მოქმედ., თარგმანი ჯ. გუნიასი.

წარმოდგენის შემდეგ ლოტო. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

სტუმრები გადაიხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. თეატრში შესასვლელი ფასი 10—50 კ.-მდე.

ანონსი: დღეს, 5 აგვისტოს, იაფ-ფასიანი ლოტო. კვირას, 7 აგვისტოს, მალოროსიული წარმოდგენა—„ტარას ბულბა“, ფასი თეატრში 15—75 კაპ. ბაღში უკრავს საზანდარი. (2—1432—2)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. **გაბაშაძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. **პიპინოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ვ. ს. **სტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. **მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. **მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ბ. გ. **ხოხოლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ინჯექციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით. (წო.—1090—127)

ექიმი

გ. მ. ლოლობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—4)

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—18)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—78)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

აბასთუმანში

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—43)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 თ—1106

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 8—9 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა.

შვალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შვალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა უდიდეს ქალაქებში.

შვალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—43)

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ტფილისი, 5 აგვისტო

ინგლისის კრიზისის დასასრული.

ეს რამოდენიმე ხანია დავაა გამართული ინგლისის ქვედა და ზედა პალატათა შორის. დავა იქიდან დაიწყო, რომ ზედა პალატამ, ეგრედ წოდებულმა ლორდთა პალატამ, არ დაამტკიცა ქვედა პალატის მიერ შემუშავებული ბიუჯეტი, რომელშიაც, სხვათა შორის, შემოსავლის კვალობაზე დადებული გადასახადიც იყო შეტანილი. ეს წმინდა პრაქტიკულ ხასიათის დავა პრინციპიალურ დავად გარდაიქცა, და დაიბადა საკითხი ლორდთა პალატის უფლებათა შეკვეცის შესახებ. ლორდთა პალატის დანიშნულება, როგორც საზოგადოდ ყველა ზედა პალატისა, იმაში მდგომარეობს, რომ უკიდურესად ლიბერალურ რეფორმებს ფრთები შეაკვეცონ ხოლმე. ინგლისშიც ლორდთა პალატა ამ მიზანს ემსახურება. მართალია იგი თავის თვისებით ერთგვარი შემაფერხებელი დაწესებულებაა, მაგრამ პრაქტიკაში ყოველთვის არ სარგებლობდა ხოლმე თავის უფლებებით და მთავრობასაც საკანონმდებლო ასპარეზი ფართოდა ჰქონდა გადაშლილი. ამ ჟამად კი, როდესაც მთავრობის საფინანსო ზომამ ცოტა არ იყოს ლორდთა ეკონომიურს კეთილ-დღეობასაც გაჰკრა კლანჭი, ზედა პალატამ მოისურვა თავის უფლებით სარგებლობა, და დავაც ამით დაიწყო.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, როგორის გზით მიდიოდა ეს დავა, რანაირი ეტაპები გაიარა. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით ორიოდე სიტყვას მხოლოდ ამ უთანხმოების უკანასკნელ მომენტზე. გართულებულმა მდგომარეობამ აიძულა მთავრობა მეფისთვის მიემართა და ეთხოვა, რომ მას თავისი უფლებით გადაეწყვიტა ლიბერალ მთავრობისა და ლორდთა პალატის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება. მეფემ მიიღო რჩევა მთავრობის წარმომადგენელის ასკვიტისა, რომელიც თხოულობდა, რომ ლორდთა პალატაში ლიბერალი ლორდები დაენიშნათ. ეს ისეთი ზომა იყო, რომელიც შესამჩნევად შესცვლიდა ლორდთა პალატის ეხლანდელ ფიზიონომიას. ამის შემდეგ ლორდებს ის-ღა დარჩენოდათ, რომ ან ბედს დაჰმორჩილებოდნენ, ან კიდევ მთავრობის კანონ-პროექტი მიეღოთ და ამით გადაერჩინათ ეხლანდელი შედგენილობა ლორდთა პალატისა. ლორდებმა უკანასკნელი გზა არჩიეს, და როგორც დეპეშებიდან სჩანს, მთავრობის კანონ-პროექტი მიიღეს 131 ხმის უმრავლესობით წინაადმდეგ 114. ოთხასამდე ლორდმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ამ რიგად კრიზისი დასრულდა. ლიბერალმა მთავრობამ კამპანია მოიგო და ლორდთა პალატაც შეზღუდა. ეს შეზღუდვა კი გამოიხატა იმით, რომ ქვედა პალატის მიერ მოწონებული და მიღებული კანონ-პროექტი ლორდთა პალატას შეუძლიან არ დაამტკიცოს მხოლოდ ორის წლის განმავლობაში. ამ რიგად, „ვეტოს“ უფლება სრულიად არ არის მოსპობილი, მაგრამ შესამჩნევად კი არის შეზღუდული.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კრიზისის დასასრულს. შინაურს საქმეებში გართული ინგლისი საერთაშორისო საქმეებში აქტიურს მონაწილეობას ვეღარ იღებდა. დღეის შემდეგ ინგლისის შინაური ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება, და ამით ინგლისს საშუალება ეძლევა საერთაშორისო ცხოვრებაში კვლავ ენერგიულად ჩაერიოს. გარდა ამისა, ლიბერალ მთავრობას საკანონმდებლო ინიციატივის ასპარეზი ფართოდ გაეხსნა. ბევრი ლიბერალური კანონ-პროექტი, რომელიც აქამდის ადგილიდან ვერ იძროდა, ეხლა უეჭველია, ამოძრავდება და მალე ძალაში შევა.

ერთი ასეთი კანონ-პროექტია, მაგალითად, ირლანდიის ჰომრული. რამდენი ხანია ირლანდია იბრძვის ავტონომიისთვის. რამდენი ხანია მასთან ერთად იბრძვის ინგლისის ლიბერალი მთავრობაც, მაგრამ ყველა ამათი კეთილი სურვილი ლორდთა პალატის სიჯიუტეს ეხეთქებოდა და იმსხვრეოდა. დღეის შემდეგ, უეჭველია ირლანდიის ავტონომიის საკითხიც ახალს ხანაში შესდგამს ფეხსა. მისი განხორციელება ეხლანდელს პირობებში უფრო ადვილია. მართლაც, გაზეთები გვატყობინებენ, ინგლისში უკვე დაიწყო აგიტაცია ირლანდიის ავტონომიის სასარგებლოდაო. ეხლა კი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დიდი ხნის ოცნება ირლანდიელებისა სინამდვილედ იქცევა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

სატახტო ქალაქის გაზეთებმა დიდი ხანია განგაში ასტეხეს და ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს მათ მკაცრს კიცხვს ს. განათლების მინისტრის უკანასკნელ ზომების გამო გაზ. „რეჩი“ სწერს:

> …„ბ. კასსოს პიროვნება აქ არაფერ შუაშია. ახლა ვინც უნდა იყოს მის ადგილზე, ასეთსავე უნარს გამოიჩენდა წესიერების დასამყარებლად. უნივერსიტეტები, როგორც განსვენებული პიროგოვი ამბობდა, საზოგადოებრივი განწყობილების საზომია. ჩვენი სახელმწიფოს ბრძენნი ყოველთვის ამსხვრევდნენ ამ ამინდის მაჩვენებელ საზომს, თითქოს ჰსურდათ კარგი დარი დაეყენებინათ“.

სამეცნიერო აკადემიის მიუმართავს კასსოსათვის განცხადებით და სწერს:

> …„თუ რუსეთის სამინისტრო მართლა განახორციელებს თავის განზრახვას და რუსეთისათვის პროფესორებს მოსამზადებლად ევროპაში გაჰგზავნის, ამით რუსულ სკოლის უვარგისობას დაადასტურებს; ამავე დროს იგი რუსეთის სისუსტესაც აღიარებს: თითქოს რუსეთს არ შეეძლოს თითონ განავითაროს თავისი განათლების საქმე. იგი ამით განაცხადებს, რომ ჩვენს სახელმწიფოს არ ძალუძს თითონ შეჰქმნას განათლებისათვის აუცილებელი პირობები. იგი გააქარწყლებს იმედს რუსეთის განათლების ძალისა და მნიშვნელობისას“.

შემდეგ „რეჩი“ აღნიშნავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მსურველთა რიცხვი წელს ნაკლებიაო და შენიშნავს:

> „ცხადია, ეს მოვლენა გამოწვეულია უნივერსიტეტების მდგომარეობით და, თუ კასოს პოლიტიკა არ შეიცვალა, თან და თან უფრო იკლებს ახალგაზდების რიცხვი. თუ ასეა, რაღათ დავხარჯოთ ტყუილად ფული საზღვარგარედ პროფესორების მომზადებისათვის. თუ მაგ., სამედიკო კურსებზე 28 ქალი დარჩა, განა რამდენი პროფესორია იმათთვის საჭირო!?“…

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ტფილისში ჩამოვიდა გზათა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილის გამგე** ტ. ს. ნემოლოდიშევი, რომელიც კავკასიაში არსებულ გზათა სამინისტროს გამგეობაში მყოფ სასწავლებლებს დაათვალიერებს.

◆ **ქალაქის საბჭოს ხმოსნების ერთ ჯგუფს** განუზრახავს არჩევნების წინ რუსულ ენაზე იაფ-ფასიანი გაზეთი გამოსცეს, რომელშიაც სასურველი კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციას გასწევს.

◆ **ქალაქის გამგეობის** შერეულმა კომისიამ, რომელშიაც იყვნენ ქალაქის სასანიტარო ექიმი, ბრანდმაიორი, სასანიტარო მზრუნველი, მეშვიდე უბნის ბოქაული და სხვა, გუშინ, 4 აგვისტოს, კახეთის მოედანზე მდებარე **ვართანოვის სახლი** დაათვალიერა. ტეხნიკურისა და სანიტარულის მხრით სახლი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კედლები თითქმის ნახევრად დანგრეულია, სახურავიც ჩამოწოლას ჰლამის. კომისიამ განკარგულება მოახდინა, მდგმურებმა სახლი დასცალონ. თუ სახლის პატრონი მოკლე ხანში ზომებს არ მიიღებს, სახლს ძალით დაანგრევინებენ.

◆ **შემოსავალი ქალაქის წყალსადენისა** 1911 წ. 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე ყოფილა 118839 მან. 55 კ. შარშანდელთან შედარებით შემოსავალი მეტი ყოფილა 10,317 მანეთით და 23 კაპ.

◆ **ქალაქის წყალსადენის** გასაფართოვებლად, როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭომ 12,300 მან. გადასდო. ამ ფულით, სხვათა შორის, წყალსადენის შტოები გაყვანილი იქმნება ავლაბარში, ბეჟუროვისეულსა და მირზოევისეულს მამულში.

◆ **ქალაქის სასაკლაოზე** ივლისის განმავლობაში მოურეკიათ სულ 15,768 სული საქონელი, გაყიდულა—11,839, აქედან გადასახადი შემოსულა—788 მან. 40 კ., ხარ-ძროხა ჩამოურეკიათ 8,392, გაყიდულა 5,056, კამეჩი 649—338, ხბო 138—45, ცხენი—1, თათრული ცხვარი 263—213, თუშური ცხვარი 15150—11295, თხა 355—351. საშუალო მაზანდა ყოფილა: ფურისა—31 მან. 50 კაპ., კამეჩისა—45, ხბოსი—8, თათრული ცხვრის—6 მ. 50 კ., თუშურისა—5 მ. გარდასახადად ქალაქს 1,697 მან. 20 კაპ. შემოსვლია.

◆ **ექსკურსია მცხეთაში.** შაბათს, ფერისცვალება დღეს, ტფილისიდან მცხეთაში მიემგზავრება ჯგუფი, რომელიც დაათვალიერებს მცხეთას, ჯვარის მონასტერს და არმაზს. ექსკურსია ტფილისიდან მცხეთაში შაბათს, დილის რვა საათზე, გავა მატარებლით. მცხეთიდგ ურმებით გავლენ არაგვში და ავლენ ჯვარში, სადაც 12 საათამდე დაჰ-

ყოფენ. შემდეგ ისევ მცხეთით არმაზში ივლიან, სადაც საღამომდის დაჰყოფენ და საღამოს მატარებლით ისევ ტფილისს დაბრუნდებიან. ექსკურსიაში მონაწილენი უნდა შეიკრიბნენ დილის 8 საათზე რკინის გზის სადგურზე. დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში ლ. ბოცვაძისაგან.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის **დააჯარიმა**: 25 მანეთით — სარქის ოჰან არუთინოვი ქუჩაში წესიერების დარღვევისათვის და 3 მანეთით მეეტლე აბრამ ოსიფოვი. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ციხეში უნდა ჩაჯდნენ: პირველი— ორი კვირით და მეორე სამი დღით.

◆ **ბელგიის უსახელო ტრამვაის საზოგადოების დირექტორმა** დღიურ ხელფასს მანეთზე ორი შაური მოუმატა იმ კონდუქტორებსა და ვატმანებს, რომელთაც ერთი წელიწადი უმსახურნიათ და არც ერთი უბედური შემთხვევა არ მოუხდენიათ.

◆ **იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა სამკითხველოს საქმე ძლიერ ცუდად წავიდა.** ეს ბიბლიოთეკა კანდანოვის დაარსებულია, რომლის გარდაცვალების შემდეგ შესდგა საზოგადოება, მაგრამ გამგეობაში მალე მხოლოდ სამი კაცი დარჩა. მათ შორის იყო ნოტარიუსი მღებროვი. ბიბლიოთეკასთან არსებული წიგნის მაღაზიის საქმე ცუდად მიდიოდა და ამიტომ დაჰკეტეს, დარჩა 200 თუმნის წიგნი, რომელიც მთავრობამ 1906—7 წლებში აკრძალა. შარშან შესდგა ახალი საზოგადოება, რომელსაც უნდოდა თავს ედვა ბიბლიოთეკის შენახვა უფასოდ, მაგრამ ვერ მორიგდნენ ბ. მღებროვთან, რადგანაც უკანასკნელი ამ წიგნების საზღაურს ოც თუმანს თხოულობდა და საზოგადოება კი არ აძლევდა, რადგან წიგნები დასაწვავად უნდა წარედგინათ. სწორედ ამ წიგნებმა დაღუპა მღებროვის კანტორაც და ბიბლიოთეკაც, რომელიც ეხლა მთავრობის განკარგულებით დაკეტილია. სახლის პატრონი წიგნებს ოთხი თვის სახლის ქირად იღებს (სულ 150—200 მანეთი), ბიბლიოთეკაში კი 10,000 მეტი ძვირფასი წიგნია. ჟურნალები კი 30 წლისაც მოიპოვება. ქალაქისა და სახალხო სახლის გამგეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და 40 თუმნის გულისათვის ასეთი ძვირფასი სახალხო განძი არ უნდა დაჰკარგოს.

◆ **სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი** წრე მოქმედებას დაიწყებს 25 აგვისტოდან. ამ ჟამად წრის გამგეობას გადასაწყვეტი აქვს საკითხი რეჟისორის მოწვევის შესახებ.

◆ **ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილებამ გამოჰგზავნა იქ შეგროვილი 100 მანეთი.

ათ-ათი მანეთი შემოსწირა: მ. ნასიძემ, ს. კვიტაშვილმა, ა. ბერელაშვილმა, ა. პიპინაძემ, ნ. ჯაყელმა და კ. ლორთქიფანიძემ. ხუთ-ხუთი: ვ. ახვლედიანმა, გ. ქებაძემ, ა. გოცირიძემ და ლ. გოცირიძემ. პ. ალხაზაშვილმა 4 მან., პ. გელოვანმა 3 მან., ვ. ხუბუამ და მ. კალანდარაშვილმა ორ-ორი მანეთი; ლ. აბდუშელიშვილმა და ვ. ჩიკვაიძემ—მანეთ-ნახევარი თითომ; ვ. ნასიძემ, №, დ. თედეშვილმა და მ. შენგელიამ თითო მანეთი.

ქუთაისი

◆ **ქალაქის ბიბლიოთეკა და უფასო სამკითხველო** იმავე შენობის ზედასართულში გადადის, სადაც დღესაა მოთავსებული. ძლივს იქნება უშველოს რიგიანი ბინა ამ საკულტურო დაწესებულებას.

◆ **სადგილ-მამულო ბანკთან** დიდი ხნის დავა ჰქონდა ნესტორ ქვარიანს. ხანანაშვილს მამულის გამო. ქვარიანს ოლქის სასამართლოში მოუგია ეს საქმე და ბანკს დიდს ზარალს აზღვევინებს.

◆ კვირას, 31 ივლისს, **სასანიტარო ექიმმა და ქალაქის ქიმიკოსმა** შეამოწმეს კვასი და ყველა უვარგისი და მავნებელი აღმოჩნდა, რის გამოც აუკრძალეს გაყიდვა და 1500 ბოთლამდე გადაღვარეს.

◆ დადგება თუ არა ზაფხული, დაბა-სოფლებიდან ამბები მოგვდის ქართულ წარმოდგენების გამართვისა. ღმერთმა უწყის, რასა სდგამენ, როგორ თამაშობენ და ამის გამო თეატრის თაობაზე რა აზრისანი ხდებიან ისსოფლელნი, რომელნიც თუ რამე ბლომად ესწრებიან ასეთ წარმოდგენებს. **დრამატიულ საზოგადოების მოვალეობაა ყური უგდოს** ამ საქმეს.

◆ 31 ივლისს, 2 ალექსანდრეს ქუჩაზე, საღამოს 5 საათზე, მინადორა შუგაროვის სახლის მახლობლად ჩაიარეს დავით და ეპიფანე ქეიშვილებმა. დავითმა სახლის სისწვრივ **რევოლვერი დაცალა**. ტყვიამ გახვრიტა ფანჯარა, დარაბა, კედლის ნოხი, იქვე მწოლარე მინადორას თეძოსთან გაუარა და კედელში ჩაერჭო, მიზეზი რომანიულ ნიადაგზე აღმოცენებული შურისძიებაა. („კოლხიდა".)

თელავი

◆ 9 აგვისტოს ქალაქის საკრებულო დარბაზში ბ-ნი **ზაქარია ივანეს ძე ჩხიკვაძე** გაჰმართავს კონცერტს სამუსიკო განყოფილებით. ამის გარდა დაიდგმება ვოდევილი და გაიმართება ცეკვა.

ბ-ნ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით თითქმის ყოველ წლივ საქველმოქმედო მიზნით იმართება კონცერტი: მაგ. წინად წმ. ნინოს ან სამოქალაქო სასწავლებლისათვის, ხოლო ამ ბოლო დროს წ. კ. საზოგადოებისათვის და სხვ.

ამისთვის, იმედია, თელავის საზოგადოება დაესწრება ამ საღამოს, მით უმეტეს რომ იგი პირველად იმართება.

პროვინცია

◆ **კახეთი.** ხანგრძლივ გვალვის შემდეგ, რომელმაც ძალიან შეაწუხა ჰინახელი, 30—31 ივლისს კარგი წვიმა მოვიდა. ვენახებს ძლიერ არგებს, ბალახსაც მოიყვანს, ეს არის, სიმინდს დაუგვიანდა და ველარაფერს უშველის წვიმა.

◆ **სოფ. ხაშური.** 1 აგვისტოს აქ ჩამოვიდა ტფილისის გუბერნატორი ბ. ჩერნიაევსკი. თან ახლდნენ: მაზრის უფროსი, ჟანდარმთა როტმისტრი, ბრალმდებლის ამხანაგი, კანცელარიის გამგე და სხვ. სადგურზე რამდენიმე სოფლის წარმომადგენლებმა პურმარილი მიართვეს. გუბერნატორმა პურ-მარილი არ მიიღო და ხალხს შემდეგი სიტყვებით მიჰმართა: „იმათ ხელით, ვინც ყაჩაღებსა და მძარცველებს აწვდიან საზრდოს, პურ მარილს არ მივიღებ ყაჩაღებთან კავშირის დაჭერით წაბილწულ გულთა სალამს არ ვაძლევ, არ ვენდობი. ყველას ზიზღით და ბრაზით გიცქერით, როგორც ბოროტ ხალხის ბრბოს. თქვენ გაძევთ მძიმე დანაშაული, რადგანაც ხელს უწყობთ ყაჩაღების დაფარვას, რომელიც უბრალოდ დაღუპულ მსხვერპლთა სისხლში არიან მოსვრილნი. თუ ცოდვის გამოსყიდვა გინდათ, გაეცით ყაჩაღებიო"...

გუბერნატორმა აღუთქვა, თუ გლეხები ამას არ შეასრულებთ, სულყველას გადაგასახლებთ, არც ერთ სოფელს არ დავტოვებ; იმათ სამშობლოში კი დავასახლებ ნამდვილ რუსეთის შვილებს, მეფისა და ტახტის ერთგულებს. ხალხი დაღონებული უსმენდა და არ იცოდა, რა ეთქვა.

◆ **სოფ. ქვიშხეთი** (გორის მაზრა). ტფილისის გუბერნატორმა აქედ მოგზაურობის დროს განაცხადა, აქაურ მამასახლისის თაობაზე ცნობა მივიღე, კეთილსაიმედო კაცი არ არისო, რის გამოც თანამდებობიდან გადააყენა და მაზრის უფროსს გადასცა. მომრიგებელმა მოსამართლემ ყრილობის თვალ წინ მამასახლისს ჯაჭვი ჩამოხსნა და მაზრის უფროსმა იქვე დააპატიმრა იგი.

* * *

ნავთი გურიაში

საერთოდ ყველა ზემოდ ჩამოთვლილ კომპანიებზე ის აზრი სუფევს გურიაში, რომ საქმის დაწყება და თაოსნობა ეკუთვნოს უფრო და მოუკიდებელს მათში და ასეთი კი ბ-ნი შმიდელის კომპანიაა. გურულების მეტი თანაგრძნობაც მის მხარეზეა, თუმცა ნაადრევი კია ამ კითხვაზე უკანასკნელი სიტყვის თქმა. შეიძლება არც სხვა დარჩეს შორიდან მაცქერალი, შეიძლება მათაც მოჰკიდონ საქმეს ხელი, მაგრამ ყველა ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

დღეს კი გურულმა ხალხმა პირობის ავკარგიანობას უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება, რადგან ძლიერ ცუდია ეს პირობები საერთოდ. უმთავრეს ნაკლს წარმოადგენს საიჯარო ვადის ხანგრძლივობა. ოთხივე ამხანაგობის პირობებში ასეთ დროდ აღიარებულია სამოცი წელიწადი. ეს ვადა გაიყოფება ორ ნაწილად. ნავთის აღმოჩენის შემდეგ მესაკუთრეები ვალდებულნი არიან ოცდაათი წლის ვადით მისცენ მოიჯარადრეებს მიწა და ამ ხნის განმავლობაში მათ სარგებლობას შეიცავს თითო კაპეიკი გაწმენდილ ფუთ ნავთზე. ვადის გასვლის შემდეგ მესაკუთრეები იმავე პირობის ძალით ვალდებულნი არიან კვლავ განუახლონ მოიჯარადრეებს იჯარა მეორე ოცდა ათი წლით, და ასეთ განახლების დროს ძველ პირობაში ოდნავე ცვლილებაც არ შედის.

ჩვენის აზრით კი **სწორედ აქ არის უმთავრესი ნაკლი** ყველა ხსენებულ ამხანაგობის პირობებისა. ოცდა-ათი წელიწადი ძლიერ დიდი დროა, ამ ხნის განმავლობაში შეიძლება დიდი ცვლილება მოხდეს, როგორც კერძოდ წარმოებაში, ისე მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც, ვინ უწყის, რა მოხდება ათ, თხუთმეტ და ოც წელიწადში, ყველა ეს მომავლის შესახებ კითხვები არ ექვემდებარება აწმყოს მიერ ნაკარნახევ სურვილებს. ამიტომაც დიდი გამბედაობაა, როდესაც მესაკუთრენი პირველ ოცდა-ათი წლის შემდეგ პირდაპირ გადადიან მეორე ოც-და-ათზე და ძველ პირობაში რაიმეს შეცვლის შესახებ კრინტსაც არ სძრავენ. ჩვენის აზრით კი, გაივლის პირველი ოც-და-ათი წელიწადი თუ არა, მესაკუთრეებს ნება უნდა ეძლეოდეთ ახალი საიჯარო პირობების გამომუშავებისა. ამას მოითხოვს საღი მოსაზრება და საქმის პირდაპირი ინტერესიც, და თუ დღეს გურულები ხელს აწერენ ხსენებულ პირობებს, ეს უნდა მივაწეროთ მათ გულგრილობას, მათ დაუდევრობას და საღი აზროვნების ნაკლებობას მათ შორის.

ჩვენ აქ ვერ გამოუდგებით ხსენებულ ამხანაგობათა პირობების მუხლობრივ განხილვას, რადგან საამისოდ გარემოება ხელს არ გვიწყობს. დიდი შრომა—მეცადინეობაა საჭირო, რომ ასეთი პირობა იპოვნო, რადგან სოფლელების მიერ არჩეულ პირებს სადღაც ცხრაკლიტულში გადაუმალავთ ეს საზოგადო მნიშვნელობის ქაღალდები. რასაკვირველია, პირველი დანაშაული აქ თვით ამხანაგობათ მიუძღვით; ისინი ვალდებულნი არიან დაბეჭდილი პირობები ხალხს მოფინონ, მაგრამ დღევანდლამდე ამას არც ერთი მათგანი არ შვრება. პირიქით, ერთგვარ საიდუმლოების მანტიაში ჰხვევენ თავიანთ მოქმედებას. ამავე დროს ხალხმაც დაჰკარგა ყოველივე უნარი საქმეების კრიტიკულად განხილვისა. ერთმანეთის ღალატი, გაუტანლობა და სურვილი სხვათა უბედურებაზე თავის საკუთარ ბედნიერების აგებისა, დღეს გურულთა საერთო სენად გადაქცეულა. ავიღოთ თუნდა ხალხსა და ამხანაგობათა შორის შუამდგომი პირები. ყველა ესენი, მცირე გამოკლებით, იგივე მოწინავე პირებად ნამყოფებია. ბევრს ლაპარაკობდნენ, კრიტიკის კორიანტელს აყენებდნენ, როდესაც ჯერ კიდევ ახალი იყო ნავთის თაობაზე მოლაპარაკება; მაგრამ გავიდა დრო, ამხანაგობანი არც ისე ადვილად მოუშვნენ გურიას და ამავე დროს კი მოსაშუალე პირებიც აუცილებლობას წარმოადგენენ. ისინი დაუახლოვდნენ ამხანაგობათ, უკანასკნელთა სახელით სოფლებში აგიტაცია იწყეს, და რაც წინედ მათივე აზრით შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო, დღეს უბრალო საქმედ გამხდარა. არა ერთი ყოფილა ამ ნიადაგზე ბოროტი მოქმედება და პირველ საჭიროების მიხედვით ჩვენ მზადა ვართ, გაზეთის ფურცლებზე აშკარად აღვნიშნოთ ამ ვაჟბატონების „საქმენი საგმირონი".

ასეთია ნავთის წარმოების საქმე დღეს გურიაში. აღმოჩნდება ნავთი თუ არა, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს, მხოლოდ ხალხი რომ ადვილად ეგება მოხერხებულად დაგებულ მახეში, ამას ბევრი განმარტება აღარ სჭირია. ხელიდან უშვებენ საშვილიშვილო ქონებას და ნაცვლად ხელში რა რჩებათ? ხალხი უვიცია, მას არ აქვს ნავთის წარმოების შესახებ ოდნავი, ელემენტარული წარმოდგენა და ამხანაგობათ კი თავისი გააქვთ. საჭიროა ინტელიგენტური ძალები, მაგრამ ამის ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ჩვენი ნასწავლი ახალგაზრდობა ამ დროს სადმე აგარაკებში თუ ეძლევა ეროტიულს აღტაცებას, თორემ „ცოდვილი მიწის"-საქმეებისთვის ზრუნვა მისი მოქმედებ დავთარში არა სწერია. სად არიან სტუდენტი-გეოლოგები? რატომ არ კითხულობენ საჯარო ლექციებს დედამიწის ნიადაგის გეოლოგიურად შემუშავების და სხვათა შესახებ? სად არის ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა, რომლის მახლობლად ნავთის წარმოებამ თავი უნდა იჩინოს? რატომ ერთხელ მაინც არ დაუთვალიერებია მას ეს ადგილები—თუ შესაფერ დარიგება—ხელმძღვანელობას ვერ გაუწევდა ხალხს?

მაგრამ ყველა ეს კითხვები კითხვებადვე რჩება, როდესაც წარმოიდგენ, რომ ოზურგეთის თვითმართველობას თავისი საკუთარი საქმეები ვერ მოუგვარებია და ისიც, უპატრონობისა გამო, ღვთის ანაბარადაა მიტოვებული.

Duo.

* * *

† ჩვენი ქსილოგრაფი გიგო ტატიშვილის ხსოვნას

ამ ორ დღეში დავასაფლავეთ ტანჯული გიგო ტატიშვილი. კარგად მახსოვს მოძრავი, დაბალი ტანის, მკვირცხლი გამომეტყველების და არშინის კოხტად მხმარებელი ჭაბუკი ტატიშვილი ნოქრად. მაშინ სასულიერო სემინარიის მოწაფე ვიყავი. ერთი შეხედვით შევამჩნევდით, რომ ამ ახალგაზდისთვის შემომქმედს ერთს ქანქანზე მეტი მიუცია და დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ვაჭრობის გზითაც კი წინ წავიდოდა. მაგრამ მას სხვა ტაროსმა დაჰბერა. „გამოვიდა მთესავი თესვად" მაცხოვრის იგავისა არ იყოს, ზოგი თესლი დავარდა კლდიანზე, ზოგი თიხიანზე და ზოგი ეკალნარში." ამოვიდნენ იგინი, იღონღიალეს და რადგან უნიადაგონი იყვნენ, უსარგებლოდ ჩავიდნენ, მაგრამ აი დავარდა თესლი ადგილსა ნაყოფიერსა: იპატრიაქა, მოისხა ნაყოფი სასარგებლოდ მთესავისა და ქვეყნისა.

სწორედ გიგოს პატიოსან და მგძნობიარე გულს ასეთი თესლი მოჰხვდა, თესლი განათლების, მწიგნობრობის, ცოდნის, იფეთქა და იპატრიაქა მის გულში. გადააგდო არშინი, შეუდგა საზოგადო საქმეს და ემსახურა ჩვენ პატარა ქვეყანას იმ ნიჭით, რა ნიჭიც შესწევდა მას და სწორედ იგი ნიჭი კი იყო იმ დროს მეტად საჭირო ჩვენთვის. მაშინ ვინ იპოვნიდა ჩვენში ქართულ სახელმძღვანელოს, ანბანს, დასურათებულს? გიგოს საჭირეთელმა, შეუპოვარმა შრომამ მალე მრავალი სურათები შექმნა ცხოველების, საგნების, ქარტების, ჩუქურთმების, ძველი ტაძრების, მეცნიერ და მოღვაწე ადამიანებისა: ერთი ათად სარგებლიანი და მადლიანი შეიქმნა ჩვენი მწიგნობრობა ამ კაცის მადლიან ხელის წყალობით. არამც თუ ქართველობა, ჩვენი მეზობელი სომხობაც კი მიეტანა ამ მადლიან ადამიანს და მრავალი თავისი სახელმძღვანელონი დასურათებინა. ჟურნალი „ნაკადული" მთლად გიგოს ნახატებით გამოდიოდა. ნუ დაივიწყებ ქართველო მოზარდო, რომ როდესაც შენ გადაშლილ წიგნში პეპელას, კაჭკაჭს, კოშკს, ცხენს და დაჰხარი, იგი შექმნა მადლიანმა ხელმა გიგო ტატიშვილისამ. თვით ჩვენ, დიდებიც, რამდენი ნახატით რუქისა, ძველი ჩუქურთმისა, ძველი ტაძრისა, ძველი ხელოვნების სურათით ვსტკბებით ხოლმე მისის წყალობით...

ვინ იტყვის, რომ გიგო არ იყო მოღვაწე ჩვენის პატარა ქვეყნის? თუმცა ამ ათიოდე წელიწადში ლიტოგრაფიამ, „ცინკოგრაფიამ", „სვეტო-ტიპიამ" გააქარწყლა ეს ხელობა, მაგრამ მაინც ეს ნებას არავის გვაძლევს დავივიწყოთ ტატიშვილის სამსახური.

ქვეყნის წინმსვლელობის გზაზე მრავალი დროშა ფრიალებს პროგრესის ალსანიშნად ამართული. ისტორიის დასაწყისში, შუაგულ თუ უკანასკნელ გადასახვევში ფრიალებენ, იგინი მუდამ სალმის და თავის მოხრის ღირსნი არიან. ტანჯული გიგოც მედროშე იყო ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობის გზაზე ამართული და ამის წინაშე სალამი გვმართებს, თუმცა მის კუბოს არც ვისიმე გვირგვინი, არც ვისიმე ცხარე სიტყვა არ ამკობდა...

იგი კი იყო მრავალ მხრით სამაგალითო და დაუვიწყარი ადამიანი. ჯერ იყო დარაჯი ჩვენის ქვეყნის აზროვნების: გულს უწუხებდა ჩვენი ქვეყნის ავი, და კარგი ახარებდა ბალღისაებრ მისი შეუპოვრობა შრომაში უნდა მუდმივი მაგალითი იყოს. მთელი დღე მაგიდას უჯდა, დასვენება

* * *

ფრიად სამწუხარო სენი.

ჩვენს საზოგადო მოღვაწეს ეკლით მოფენილი გზა აქვს მინიჭებული ხვედრად. ყოველის მხრივ იგი ტანჯულია და გვემული, ნივთიერად, ზნეობრივად, რა მხრითაც გნებავთ. მაგრამ ამას შეჩვეულია ის ადამიანი, რომელიც გადასწყვეტს იმ მძიმე უღლის კისრად აღებას, რომელიც ქართველ საზოგადო მოღვაწეობისათვის გამზადებულია. ერთი რამ არის, რომელსაც ადამიანი ვერასფრით ვერ შეეჩვევა და ვერ შეურიგდება: უმართებულო ცილისწამება, უნიადაგო და უსაფუძვლო ყბად-აღება, რომელიც თან სდევს დღე-ნიადაგ მის საზოგადო მოღვაწეობას. ამას ვერ შეეჩვევა და ვერ შეურიგდება ადამიანი არა მარტო იმიტომ, რომ იგი უმადურების გამომხატველია, არა მარტო იმიტომ, რომ იგი უსამართლობის მაჩვენებელია, არამედ ანტი—საზოგადოებრიობის ალღოს ნიშანია.

როცა საზოგადოებაში ეგ თვისება, ეგ სენი გავრცელებულია, უნდა იცოდეთ, რომ იქ საზოგადო საქმის გატანა მეტად ძნელია. ამისთანა საზოგადოების წევრები ალღოს მყოლით, თავისდა უნებურად მზად არიან ყოველთვის ხელი შეუშალონ და გული აუცრუონ იმ ორიოდე საზოგადო მოღვაწეს, რომელთაც თავისი სიცოცხლე და ცხოვრება ჩვენის საზოგადო საქმეებისათვის შეუწირავთ.

ათასნაირი დამაბრკოლებელი გარემოება წინ ეღობება ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ათასგვარ შინაურ და გარეულ მტრებს უნდა ებრძოლოს. და ამ დროს იმათგან, რომელთაგანაც თუ სხვა არაფერი, ზნეობრივ დახმარებასა და თანაგრძნობას მოელის, ხელის შეშლისა და სულის აღშფოთების მეტს ვერას ნახავს.

ერთი საუკეთესო ნიმუში ამ სამწუხარო სენისა, ღრმად პატივცემულის ჩვენის აღმზრდელის, ჩვენის საუკეთესო პედაგოგის ბ. იაკობ გოგებაშვილის წერილია („ფრიად მავნებელი მაგალითი"), რომელიც მან ამ ორიოდე დღის წინად ქუთაისის გაზეთ „კოლხიდა"-ში დასტამბა და რომელიც მთლად ერთიანად გადაბეჭდილია „სახალხო გაზეთი"-ს ამ წლის 364 ნომერში.

შეუძლებელია ბ. იაკობ გოგებაშვილმა არ იცოდეს—რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენის საზოგადოების წინაშე იმ ყოვლად უმწიკვლო საზოგადო მოღვაწეს, რომელიც თავში უდგია ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს, არ შეუძლია არ იცოდეს ბ. გოგებაშვილმა, რა ჯურის მოღვაწეა ეს ადამიანი, რა დიდის ენერგიით, ღრმა რწმენით აღსავსეა იგი, რა საეროვნო იდეალებით არის გამსჭვალული მთელი მისი მოღვაწეობა. არ შეიძლება არ იცოდეს ბ. გოგებაშვილმა და თუ არ იცის, არც უნდა ენებებია კალმის ხელში აღება ამ საგნების შესახებ საწერად—ყოვლად წარმოუდგენელია არ იცოდეს ჩვენმა დაუღალავმა, ნიჭით ცხებულმა პედაგოგმა ბ. იაკობ გოგებაშვილმა, რა დიდი საქმე შექმნა მარტო პირადის ენერგიის წყალობით მარგანეცის მრეწველთა საბჭოს მეთაურმა ბ-ნმა გიორგი ზდანოვიჩმა, და რამდენი ბრძოლა და უსიამოვნება გადახდა ამ საქმის გამო. ყოველივე, რაც შექმნილია ჭიათურის მიდამოში ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრებულისაგან, ეს უნდა მიეწეროს მარტო ბ. ზდანოვიჩს, მის პირად მხნეობასა და საქმის სიყვარულს, და არა თუ ჩვენ ვიცით ესა, არა თუ ბ. გოგებაშვილმა იცოდეს ესა: ოფიციალურად დადასტურებულიც არის განსაკუთრებულ კერძო სხდომაზე მთავრობის იმ წარმომადგენლთაგანაც კი, რომელნიც არც თუ მეგობრულად იყვნენ განწყობილნი ან ბ. ზდანოვიჩისა და ან მისის მესვეურობით შექმნილ საქმისადმი.

და აი ასეთ ადამიანს ბ. იაკობ გოგებაშვილი სწამებს, ვითომ მისი წყალობით და ან მის კაცების წყალობით, რომელნიც მას მხარს უჭერენ და მისი თანამშრომლები არიან, ჭიათურის მომავალ სატეხნიკო სასწავლებლიდან ქართული ენა ექსორია ქმნილიყოს.

ამ გვარისავე საფუძვლიანობით შეგვიძლია ვსთქვათ, ბ. იაკობ გოგებაშვილის ბრალია, რომ ტფილისში უნივერსიტეტი არ დაარსეს, ან ის, რომ ქართულ გიმნაზიებში ყველა საგნებს ქართულ ენაზე არ ასწავლიან, ან ის, რომ ჩვენ პირველ-დაწყებით სკოლებში ქართულს ენაზე არ ასწავლიან ყველა საგნებს.

ჩვენს ნებაზე და სურვილზე არის განა ამა თუ იმ წესის დამყარება? თუ ეგრე იყოს, არა მგონი ვინმე იმათგანმა, რომელიც, უეჭველია, ბ. იაკობ გოგებაშვილი შეიყვანეს შეცდომაში, ან ოცნებით მოახერხონ იმისი წარმოდგენა, რასაც შეჰქმნიდა და განახორციელებდა პრაქტიკულად, ისეთის დიდის ნიჭის და ენერგიის პატრონი მოღვაწე, რომელიც ასეთის უაზრო და უსაბუთო ცილისწამების მსხვერპლი გახდა.

ჩვენი სიტყვები ცარიელი სიტყვები კი არაა. გადაათვალიერეთ მარგანეცის მრეწველთა კრებულის მოღვაწეობა და რაც უნდა ცალკერძად იყოს განწყობილი ადამიანი, იმის უარს ვერ იტყვის, რომ დიდი და ბევრი რამ ისეთი გაკეთებულა ამ 15—16 წლის განმავლობაში ბ. ზდანოვიჩის მეთაურობითა, რაიცა უეჭველად ამტკიცებს მის დიდ საეროვნო საზოგადოებრივ გრძნობებს 1).

და როდესაც ასეთის მისის მოღვაწეობის შესახებ, სამარცხვინო, საზიზღარი „დაბეზღება" წარადგინეს სადაც ჯერ, არს და როდესაც ეს „დაბეზღება" ისეთის ადამიანისაგან იყო მოხერხებული, რომელსაც ზურგზედ „საზოგადო მოღვაწის" იარლიკი აკრავს, ხოლო სულში კი დახავსებული „მაბეზღარის" დაღი აქვს დასმული. და როდესაც ამ „დაბეზღებამ" თავისი ნაყოფი მოიტანა და ამ „დაბეზღების" წყალობით მარგანეცის მრეწველთა საბჭოს დანაშაულობად დაუსახეს ისეთი აქტი, როგორიც იყო ჩვენის საერო დიდების ილია ჭავჭავაძის განკაცხულის ცხედრის თაყვანისცემა და პატივისცემა, და როდესაც ამ „დაბეზღების" წყალობით დღეინდელი მოღვაწეობა მარგანეცის მრეწველთა საკრებულოსი და მისი საბჭოსი მუხრუჭებშია გაჭედილი,—ასეთ საეროვნო დანაშაულის შესახებ არც ერთმა კალმა კრინტი არ დასძრა; არც ერთმა არ მოიწადინა ასეთის ვაჟბატონის, არა თუ სამარცხვინო ბოძზედ გაკვრა, ტყუილად აუგად მოხსენებაც კი.—ამისთანა გასაჭირის დროს, ბ. ზდანოვიჩი ორიოდე მისი თანამშრომლით, ყველასაგან, ასე ვსთქვათ, მიტოვებული, იბრძოდა ყოველის ღონით, რომ მარგანეცის მრეწველთა კრებულისათვის შეენარჩუნებია თვითმმართველობის ნასახი და არ აეშორებია კრებული იმ გზას, რომელზედაც მსვლელობა ჰქონდ

---

1) ძალიან ვსწუხვარ, რომ ამაგზედ ლაპარაკი მე მჭირია. ჩვენი საზოგადოების ზნე-ჩვეულება ვინც იცის, კარგად მიხვდება, რა გაუბედულებაა თავის მეგობრის შესახებ კეთილის სიტყვის დაწერა. ჩვენ საზოგადოებაში ადათია მეგობარს ყოველივე ცუდი უნდა შეამთხვიო და დასწამო, რათა შენი სამართლიანობა და მიუდგომლობა დაამტკიცო.

ეროვნული

არ იცოდა, რადგან საქმე მრავლად ჰქონდა და ყველა აჩქარებდა. ათავებდა ერთ საქმეს, იღებდა მეორეს და თუ ვინმე დასვენებას ეტყოდა, მწარედ ამოიხვნეშდა, გატკაცუნებით გაისწორებდა მუდამ მოღუნულ ხერხემალს და ისევ შეუდგებოდა შრომას. განა ბევრს იღებდა ამ შრომაში? არა, მისი გულკეთილობა და უანგარობა სამაგალითო იყო...

ექიმმა, რომელმაც ავადმყოფობის დაწყების დროს გასინჯა, მიმბო: საოცარი სიმაგრის ფილტვები აქვს, ყოველიფერი საშინელ მაგარი, ასე რომ ას წლის სიცოცხლე ექნებოდა, მაგრამ ხერხემალს უსუსტნია, სისხლე იქიდან ეპარება, მაგრამ ვერვინ იტყვის, როდის ამოჰქაფავს ძალოვან სულსაო. ისეც მოხდა: ხუთი წელიწადი წვალობდა, ყველას დაავიწყდა. გიგო იყო ჩვენი ქვეყნის მოღვაწე რომელმაც სიცოცხლეც კი ამ მოღვაწეობას შესწირა. მისი ახლად აკოკლებული სამარე, როგორც სხვა ჩვენი მოღვაწეებისა, გვავალებს: ვიქნეთ უფრო მხნენი, წინდახედულნი, რომ იგინი საფლავში არ დავაღონოთ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ტანჯულო გიგო!

მღ. ზ. გულისაშვილი.

ქირსანის საფიზიკო ობსერვატორია

ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის განყოფილების აშენების ინიციატორი ს.-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემია იყო.

შენება 1908 წელს დაიწყო, მცხეთის ახლო მთაზე, ეგრედ წოდებულ „ქირსანში“. სულ სხვა და სხვა მიზეზების გამო ორ წელიწადს მუშაობა შეჩერებული იყო. მხოლოდ 1911 წლის 9 აპრილიდან კვლავ განაახლეს მუშაობა და იმედოვნებენ, რომ 1912 წლის ივლისისთვის ობსერვატორია სრულიად მზად იქმნება. ობსერვატორიების აშენება საერთოდ საძნელო საქმეა, რადგანაც შენობისათვის საჭირო მასალაში რკინის შემადგენლობა არ უნდა ერიოს. ევროპაში ბევრგანაა ობსერვატორია, აგრეთვე რუსეთში, მაგრამ შენობები ხისაა, რადგანაც რკინეულობა—ნარევი მასალა ანდამატის განყოფილებაზე მოქმედებს. ამითია შესანიშნავი კავკასიის ახალი ობსერვატორია. ყოველი ქვა შენობისა, სანამ შენობას მოხმარდებოდეს, ანდამატშია ნაწრთობი და რკინეულ ნაწილებისაგან გაწმენდილი. ქვას ანდამატს მიუახლოვებენ, თუ ანდამატი ცოტათი მაინც შეინძრა, ქვა უვარგისია. სჩანს, რკინეულობა ურევია, და თუ მაგნიტის ისარი უძრავად დარჩა, მაშინ იგი მასალად გამოსადეგია. ამ შენობისათვის შესაფერი ქვა კავკასიაში მხოლოდ სოფ. ნიჩბისში აღმოჩნდა. ეს ქვა—სულ მდაბალი ხარისხის მარმარილოს და გვარი ქვაა. ქვიშა კი მოაქვთ კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულიდან, რადგან დანარჩენ ადგილების ქვიშის რკინის შემადგენლობისაგან განწმენდა შეუძლებელია.

პირველ შენობიდან ცოტა მოშორებით მეორეს აგებენ. ეს—„მიწის ქვეშ“ ობსერვატორია იქნება. ამ შენობის კედლები ორპირ აგურისაგან შესდგება. აგურების პირველსა და მეორე რიგს შუა დატოვებულია ფართო ალაგი, რომელიც „ინფუზორიანი“ მიწით უნდა გაავსონ. ეს საჭიროა იმიტომ, რომ სინოტივემ და ჰაერის მოძრაობამ არ გაატანოს კედლებში და მიწის ქვეშ მდებარე სეისმოგრაფზე *) არ იმოქმედოს. შენობაში ჰავა ზამთარ ზაფხულ თანაბარი უნდა იყოს. ამ შენობაში მოათავსებენ ყველა იმ მანქანებს, რომლის შემწეობითაც გაიგებენ ჰაერის მოძრაობასა და სიმძიმეს, აგრეთვე ბუნების ყველა მოვლენას. შენობას აგებს ინჟ. ა. კ. ვასილიევი, თანაშემწედ ჰყავს ტეხნიკოსი პ. გოლუბენკოვი. მუშაობის მეთვალყურედ ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის დირექტორი გლასიკია. უკვე მოქმედებს დროებითი საანდამატო სადგური, რომლის გამგედაც დაინიშნა სეისმოგრაფი დიმიტრი გურგენიძე. ამ შენობების მახლობლად მდებარეობს სახლები მოსამსახურეთათვის, ბიბლიოთეკა, სახელოსნოები და სხ.

„ქირსანს“ საუცხოვო მდებარეობა აქვს, ბევრი საუცხოვო წყარო გამოსჩუხჩუხებს, მშვენიერი ჰავაა და მგზავრებს ხშირად იზიდავს. „მშაკი“.

თელავის სამკითხველოს გამგეობის საყურადღებოდ.

როგორც გაზეთებიდან გავიგე, ქ. შ. წ. კ. გ. საზ. თელავის განყოფილებას გადაუწყვეტია თელავში დაარსოს პირველ—დაწყებითი სასწავლებელი. ეს საქმე იმდენად საყურადღებოა, რომ ჩემს თავს ნებას ვაძლევ საქმის მესვეურთ ერთი წინადადება მივცე.

თელავის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის შენახულია ადგილობრივ ხაზინაში რამოდენიმე ასი მანეთი (მგონი 300 მანეთამდე). გარდა ამისა, განსვენებულმა გლურჯიძემ თავის შვილის სახელზე შემოსწირა ბიბლიოთეკის შენობის ასაგებად 1000 მან., რომელიც ეს ოთხ წელიწადზე მეტია ჰმართებს „კახეთის საზოგადოებას“.

ჩემის აზრით კარგს იზამდა, თუ ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობა მოელაპარაკებოდა თელავის განყოფილების გამგეობას და შეერთებული ძალებით ერთს შენობას ააგებდა, რომელშიაც სასწავლებელიც მოთავსდება და ბიბლიოთეკაც. საკმარისი იქნება, თუ უკანასკნელს ერთს ოთახს დაუთმობენ და მართვა-გამგეობას სასწავლებლის ადმინისტრაციას მიანდობენ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ აზრის წინააღმდეგი არ იქნებოდა განსვენებული გლურჯიძე, რომელთანაც მე მქონდა მოლაპარაკება ზემოდ დასახელებულ შეწირულობის შესახებ და მისი განცხადებაც „კახეთის საზოგადოებისადმი“ მე გამოვართვი და გადავეცი თ. სიმონ რევაზის ძე ვახვახიშვილს, რომელმაც ამხანაგობის მოვალეთა დავთრებში შეიტანა 1000 მ. თელავის ბიბლიოთეკის სახელზე.

მეორე წინადადებაც მინდა განვუცხადო თელავის სამკითხველოს გამგეობას.

სამკითხველო და სკოლა უთუოდ ნადიკვარზე უნდა აშენდეს. ეს ადგილი დამამშვენებელია მთელის თელავისა. აქ იყრის თავს მთელი თელავის საზოგადოება მარტიდან დაწყებული ოქტომბრის გასვლამდე. ეს ადგილი ეკუთვნის თ-დ ვახვახიშვილებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ მუქთად არ დაუთმობენ სამკითხველოს და სასწავლებელს საჭირო ადგილს, იაფად მაინც მიჰყიდიან.

ნადიკვარი არის ამასთანავე ქართველებით დასახლებულ ქალაქის ნაწილი, სადაც მომავალში უნდა აღუღდეს თელაველი ქართველების და მთელი კახეთის კულტურული ცხოვრება და მუშაობა, ამიტომ სწორედ ამ ადგილას უნდა აშენდეს, ჩემის აზრით, შენობა სკოლისა და ბიბლიოთეკისა.

ქ. ტყაბაძე.

სოფლად

კარგა ხანია ქართლში აღარ ვყოფილიყავი და, როდესაც კვლავ მომეცა შეძლება ქართლის რამოდენიმე სოფლის დათვალიერებისა, ყოველივეს გულდასმით ვათვალიერებდი და მსურდა ქართლელი გლეხის ეხლანდელი ცხოვრება წინანდელ ცხოვრებისათვის შემედარებინა. სანუგეშო ვერა ვიპოვე-რა: ისევ ძველებური შემაძრწუნებელი სიღარიბე, ისევ ძველი სიბეჩავე, ისევ ძველი უვიცობა, ისევ ძველი თარეში. გული გიკვდება კაცს, როდესაც გლეხს სწავლაზე ლაპარაკს ჩამოუგდებ და ისიც დაუფიქრებლად გეტყვის: თქვე დალოცვილო, აბა, სწავლისათვის სადა გვცალიან, სწავლა მებატონეთა საქმეა, ჩვენ კი მუდამ წელებზე ფეხს უნდა ვიდგამდეთ, რომ მებატონეს თავისი მივცეთ, მრავალი გადასახადი გავისტუმროთ, მტერსა და მოყვარეს დაუხვდეთ და ჩვენ გასაწყლებულ ოჯახს ლუკმაპური მაინც მივაწოდოთო. ვაგლახ, ისიც კარგად გრძნობს სწავლის დიდ ძალას, მისთვის იგი ისეთივე სანუკვარია, როგორც ყველასათვის, მაგრამ ცხოვრების ულმობელ პირობებს მძლავრად ჩაუჭიდია თვისი კლანჭები და თავისუფლად ამოსუნთქვის ნებას არ აძლევს.

ზოგიერთ ვაჟბატონთა თავ-აღებულთარეშს ხომ საზღვარი არა აქვს!

ამ რამოდენიმე დღის წინად ს. აბასში მცხოვრებ თავადს სტუმრად ეწვია ნათესავი, იგიც თავადი, რასაკვირველია, რამოდენიმე მცველით. მცველები მასპინძლის დაუკითხავად სოფელს მოედვნენ და ცხენებისათვის საკვებსა თხოულობდნენ, ამასთან ერთად არც თავისი თავი დაივიწყეს და სოფლის ნაცვალს ვარიებისა და ძროხეულის მოტანა უბრძანეს; ვაი მის დღეს, ვინც მათ ბრძანებას არ შეასრულებდა; სოფელიც ეხმოდ დაემორჩილა და უხვად უმასპინძლდებოდა ამ პატიოსან გვამთ.

ბოლოს ამ ამბავმა მასპინძელ თავადის ყურამდის მიაღწია და ძალზე აღაშფოთა იგი; მან იხმო სოფლის ნაცვალი და მრისხანედ ჰკითხა:

— რა უფლების ძალით აწიოკებდი სოფელსაო?

— რა ვქნა, კნიაზო, „ტრაენიკებმა“ მიბძანეს და მეც ავასრულე;

— მერე, რატომ არ იკითხე, ვის უზიდავდი საკვებს?

აქ ნაცვალმა უეცრივ თვალი მოჰკრა სწორედ იმ მცველებს და ენა შიშით პირში ჩაუვარდა. სიტყვა უცბად გადაასხვაფერა:

— არა, კნიაზო, სოფელი მაგათ თვისი კეთილი სურვილით უმასპინძლდებოდა!

საკვირველია, რატომ არ მიაქცია ადგილობრივმა მამასახლისმა ყურადღება ამ მოვლენას! მაგრამ ეს განა მარტო ერთ სოფელში ხდება? საკმარისია, ბერდანკა გადაიკიდო მხარზე და შეგიძლია მთელი სოფელი ცხვრის ფარასავით დაირეკო. ამას მრავალი სინიდის წარეცხილი ვაჟბატონი კარგად ამჩნევს და ისედაც გაძვალტყავებულ გლეხკაცობას უფრო უმწიმებს სიბეჩავეს.

აქ მოტანილი მაგალითი სანიმუშო სურათია ქართლის სოფლების ცხოვრებისა.

ამას ზედ დაურთეთ ათასი ჩარჩიგაჭრები და მაშინ ნათლად წარმოგიდგებათ დღევანდელი ჩვენი სოფლის სიბეჩავე, და ჩვენი გაზეთის ხშირი მოწოდება: „სოფელს მიეშველეთო“ უწმინდეს მოვალეობად შეიქმნება.

დღეს, როდესაც ყველგან ჩვენი ერის გადაგვარებას მოსთქვამენ, დღეს, როდესაც ჩვენი ბრწყინვალე წოდება მძლავრად დაექანა დეკენერაციისაკენ, სწორედ დღეს უნდა ჩავერიოთ ჩვენს გლეხებში, ვინაიდან მხოლოდ ისინი-ღა არიან ეროვნული ცხოვრების მატარებელნი. მათი საერთო კვნესით ვიკვნესოთ, მათი წყლული წყლულად მივიჩნიოთ და შეძლების დაგვარად ვცდილობდეთ ზოგიერთ თავაშვებულ ვაჟბატონების მხილებასა და ალაგმვას და ცოდნის სხივების შეტანას ჩვენი სოფლის ბნელით მოცულ კუთხეში. აი, სწორედ აქ არის ქართველი ინტელიგენტის უპირველესი მოვალეობა თავისი ერისა და სამშობლოს წინაშე.

სწორედ, მეტად სამართლიანად შენიშნავს პატივცემული არჩილ ჯორჯაძე ერთ თავის წერილში: „თავადაზნაურობის დიდი ნაწილი არც უსაქმოდ დარჩა ახალ ბატონობის ხანაში, არც დაუჯილდოებული (რუსეთთან შეერთების შემდეგ, ა. წ.), და დედამიწაზე, მგონი არ მოიპოვება, არც ერთი ერის „კეთილშობილი წოდება“, რომლის წრეში ისე ღრმად ყოფილიყოს გამჯდარი წოდებრივი ინტერესი და ისე დახშული ყოფილიყოს მამულიშვილობის გრძნობა, როგორც ეს ქართველ თავად-აზნაურობაშია. აქ დენაციონალიზაციამ სტიქიური ხასიათი მიიღო“, (კურსივი ჩემია ა. წ.). (იხ. არ. ჯორჯ. „ინტერნაციონალიზმის გზით“).

მართლაც, შეუძლებელია ადამიანმა კიდევ წარმოიდგინოს ის გულგრილობა, რომელსაც ჩვენი ბრწყინვალე წოდება იჩენს თავისი ერის ინტერესებისადმი. ჩვენი ბრწყინვალე წოდების წრეში მამულიშვილობის ლაპარაკი მხოლოდ ქეიფის დროს თუ გაისმის, თორემ ისე ჩვენებური თავადი თუ აზნაური არას დაეძებს, მისი ერი ალიგვება დედამიწის ზურგზე თუ არა. მას მეოთხე კლასამდის მიუღწევია, რუსულად ორიოდე სიტყვა უსწავლია და ვაი თქვენი ბრალი, მოსვენებას აღარ მოგცემთ დამტვრეული რუსულის ენითა.

შაბათს, 30 ივლისს, სოფელ ეწრონისში სურამის დრამატიულ საზოგადოების მიერ ნიკო გვარაძის მონაწილეობით გამართულ წარმოდგენას დავესწარი. წარმოდგენა ქართულ ენაზე იყო დადგმული და ქართველიც საზოგადოებაც დაესწრო, მაგრამ ერთი ქართული სიტყვაც არ გაგვიგონია. ირგვლივ სულ რუსულად ჟღურტულებდნენ, განსაკუთრებით მშვენიერი სქესის წარმომადგენელნი: „Нина, я уже получила письмо საშასაგან“, ეუბნებოდა ერთი ქალიშვილი მეორეს; „უჰ რამდენი „სვოპოდნი“ მესტებია დღეს“, ამბობს მეორე. გულს დარდი გაწვება, მწარე ფიქრები იცავს შენს არსებას და ნაღვლიანად იცქირები აქეთ იქით, თითქოს ეძებ ადგილს, სადაც შეგეძლება კვლავ გაიგონო „წამებული“ ქართული ენა. წარმოდგენას რამოდენიმე სტუდენტიც დაესწრო, რომელთაგანაც ქართული სიტყვაც არ გაგვიგონია. ყველას რუსულად ელაპარაკებოდნენ, თქვენ წარმოიდგინეთ სოფლის უბრალო მუშასაც კი, რომელსაც პირი გაეღო და გაშტერებული შეჰყურებოდა ერთ მათგანს, რას მელაპარაკებაო, სტუდენტი რიხიანად უბრძანებდა: „иди дальше, тамъ твое мѣсто“. თუ ქართულად რამეს იტყოდნენ, ისე გადამახინჯებულსა და რუსულ სიტყვებში არეულს, რომ მსმენელი იძულებული იყო, ყურებში თითი დაეცო: ერთი სტუდენტი კარებში იდგა და ხშირად მიჰმართავდა მეორე ამხანაგს: „საშა, უჩვენე ამას „ოდინნადცატი რიადი დესიატოე მესტო“, ან კიდევ: „მე შენ გეუბნები „მოლჩატ“; იქნება მკითხველმა იფიქროს ყოველივე ამას განგებ ვაზვიადებდე. ღმერთმა დაგვიფაროს, პირიქით მე მკითხველს სმენა დავზოგე, თორემ კიდევ მრავალი ასეთი მარგალიტების მოყვანა შემეძლო. დიახ, თუ სხვას კიდევ ეპატიება, როდესაც იგი გვერდს უხვევს თვის სამშობლო ენას და სრულიად უადგილოდ დამახინჯებულ რუსულ ენაზე ბაასობს, რადგან მისი გონებრივი ჰორიზონტით მხოლოდ ისაა ნასწავლი, ვინც რუსულს ამტვრევს, დიდ დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს ჩვენს სტუდენტობას, რომელიც ჩვენი ცხოვრების მესვეურად და გადაგვარებულ პირების მამხილებლად უნდა გამოდიოდეს. ვინ იცის, რამდენი რამ დაიწერა ამის შესახებ, მაგრამ, როგორც სჩანს, ყოველივე ეს რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. სულის ტანჯვას განიცდის ადამიანი, როდესაც ხედავს, რომ სამშობლო ენა მარტო ვოსტორგოვებისაგან კი არ ითელება, არამედ ისევ ჩვენგან, ჩვენი ბრწყინვალე წოდებისაგან, მაშინვე გული ისევ გლეხკაცობისაკენ მიგიწევს, სადაც ალალი ცხოვრების მქონე გლეხი მშობლიურ ენით გადაგიშლის თვის სევდა-კაეშნით მოცულ ცხოვრების ამბავს და ღრმად გაგიღვიძებს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის წყურვილს.

ალ. წერეთელი.

მოწერილი ამბავი

მოსავალი იმერეთ-გურიაში. აქ წელს მოსავალს ცუდი პირი უჩანს. გვალვისა გამო სიმინდის დათესვა დიდად დაგვიანდა—ეხლა კი ხშირი წვიმის მიზეზით ჭირნახულის ზრდა შეჩერებულია.

სხვა დროს, მარიამობისთვის დამდეგს იმერეთში სიმინდს ფოჩიანი ტაროები ამშვენებდა, წელს კი ბუდე გოგვდება, რაცა მდინარე ყვირილის ნაყოფიერ ჭალებში გაუმარგლავ ყანას ხედავ. ცხადია ეხლანდელი გაუმარგლავი ყანა ხალხს თუ გამოდგება.

აშკარა ნიშნებია იმისა, რომ იმერეთ-გურიაში მოსავალი ძალიან ნაკლები იქნება, მიუხედავად ამისა, გაჭირვებული მცხოვრებლები სამერმისოდ არ ზრუნავენ და ძველ ჭირნახულს ხადის ფასად ჰყიდიან. ფუთი სიმინდი სამ აბაზადაც აღარ იყიდება. **ვ.**

საგარეჯო (გარე-კახეთი). წელს პურის მოსავალი ნაკლებია. საქონლის ჭირი გაჩნდა. სააგარაკოდ მოსული ხალხი ბევრია. ხალხის-ჯანმრთელობაა. სიმინდსა და ვენახს კარგი მოსავლის პირი უჩანს. ამას წინად აქ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს გუდისაშვილის დრამა: „დრონი მეფობნი“, რომელსაც ავტორი დაესწრო. წარმოდგენამ მშვიდობრად ჩაიარა.

გარეჯელი.

15—16 წლის განმავლობაში ქართველ ერის საზოგადოებრივობის სასარგებლოდ. ამ დროს ბ. იაკობ გოგებაშვილი ძალიან აღშფოთებული ბრძანდებოდა (პირადად ჩვენთვის განუზიარებია ეს აღშფოთება ბ. იაკობ გოგებაშვილს), მაგრამ მისს აღელვებასა და გაცხარებას იქამდის არ მიუღწევია, რომ მისი მადლიანი კალმით გვემხნევებინეთ. ნუ თუ არ იცოდა ჩვენმა მოამაგე, მთელის თაობების აღმზრდელმა პედაგოგმა, რომ ასეთ დევნას და ასეთ უსირცხვილო „დაბეზღებას“ თავისი სამწუხარო შედეგი ექმნებოდა და ეს შედეგი თანდათან უფრო გამოიჩენს თავს იმითი, რომ ყოველივე მოღვაწეობას მარგანეცის მრეწველთა კრებულისას, რომელიც მიმართული იქნება ჩვენ საეროვნო—საზოგადოებრივ ინტერესებისაკენ, წინ აღემართება გარდუვალი კედელი.

მართალია ეს „დაბეზღება“ მოკლეკუდიანი გამოდგა და თავისს საწადელს სავსებით ვერ მიაღწია, მაგრამ ეჭვი მაინც აღძრა სადაც საჭირო იყო, და მარგანეცის მრეწველთა კრებულის ყოველგვარს მოღვაწეობას ეხლა უფრო ალმაცერად უყურებენ იგინი, ვის ხელთაც არის განკარგულება საზოგადოდ ჩვენის ერის ბედისა.

ამისთანა პირობებში მოგვიხდა ჩვენ ჭიათურის საქალაქო სკოლასთან სატეხნიკო განყოფილების დაარსების განხორციელება. ბ. იაკობ გოგებაშვილი სრულიად შეცდომაში შეუყვანიათ „ჩვენ მეგობრებს“, როცა უთქვამთ, თითქო ამ დამატებით კლასებში (ორი კლასი იქმნება სულ) „რუსული ლიტერატურა სავალდებულო საგანი უნდა იყოს, ქართულს ენაზე კი არამც თუ არც ერთი საგანი ისწავლება, არამედ თვითონ ქართულ ენისა და ქართულ ლიტერატურის ჭაჭანებაც არ იქმნება... სრული ექსორიით დაუსჯიათ იგი“... ამ განყოფილებაში არავითარი საზოგადო საგანი არ იქმნება: არც სამღვთო სჯული, არც ისტორია, არც გეოგრაფია, არც რომელიმე ერის ლიტერატურა. მაგრამ უსაფუძვლოდ შეუგონებიათ ბ. იაკობ გოგებაშვილისათვის, ვითომ ქართულის ენის ჭაჭანებაც კი არ იქმნება იქა და სრული ექსორიით დასჯილ იქმნება იგი, თუმც ეს კი შესაძლოა ბ. ივ. გომელაურის „ქართველი მწერლები“ არ იქმნეს ხმარებაში. მაგრამ საბჭოს ინტერესი არა ყოფილა არც ბ. გომელაურისა და არც სხვისი ვისიმე ქრისტომატიის გასაღება,—ვინაიდან საბჭო ვერავის კომისიონერობას იკისრებს—არამედ ქართულის ენისათვის იმ ადგილის მოპოვება ამ განყოფილებაში, რაც და რამდენადაც შესაძლო იყო დღევანდელს პირობებში.

საბჭომ აღძრა შუამდგომლობა, რომ ამ განყოფილებაში ყოფილიყო გაკვეთილები ქართულ ენაზედ განსაკუთრებულის საგნისა „სამთამადნო საქმის ისტორიისა“. ამ გაკვეთილებზე მოწაფეებს უნდა შეესწავლათ ქართულს ენაზედ, გარდა თვით საგნისა, ქართული ტერმინოლოგია და ამგვარად მოწაფეებს საშუალება ექნებოდათ ქართულ ენაზედ გადაეცათ თავისი ცოდნა ხალხისათვის. ამის კატეგორიული უარი გვტკაცეს: მაგის ნება არ შეგვიძლიან მოგცეთო, სამაგიეროდ ნება დაგვრთეს ამ განყოფილებაზე მოგვეწყო სისტემატიური კურსი ლექციებისა ქართულ ენაზედ, რათა მუშებმა და ყველამ, ვისაც სურს, შეიძინოს პირველ დაწყებითი ტეხნიკური ცოდნა სამთამადნო საქმეში გამოსადეგარი.

ჩვენც ავიღეთ და დავთანხმდით, რადგან გასავალი გზა აღარა გვქონდა.[1]

გვეტყვიან, სულ აღარ გავაღებდით ასეთს სკოლასაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ უნდა არ დავივიწყოთ, რომ მარგანეცის მრეწველთა კრებულის გადაწყვეტილებას ათასი შინაური და გარეული მეთვალთვალე ჰყავს და საეჭვოდ მიმაჩნია, რომ ასეთის მიზეზისათვის ვინმემ დაგვანებოს უკვე არსებულის გადაწყვეტილების დარღვევა, მით უმეტეს, ვიმეორებ, რომ მარგანეცის კრებული ეხლა განსაკუთრებულ პირობებშია, ზემოხსენებულის შემთხვევის გამო. ხოლო ვინც დაახლოვებულია ჭიათურის საქმეებთან, კარგად იცის, რომ ასეთი გადადება საქმისა, თვით ჩვენის ეროვნულის — საზოგადოებრივობისათვის იქნება საზიანო. თუ ეს სკოლა საბჭომ მალე არ დაარსა, შესაძლოა და უეჭველად მოსალოდნელი, დადგება სულ მალე ისეთი დრო, რომ ვეღარავითარს სკოლას ვეღარ დავაარსებთ მარგანეცის კრებულის ხარჯით. ერთხელ დაარსებულ სკოლაში კი შესაძლოა ცვლილება შეიტანოს კაცმა დროისა და გარემოების მიხედვით.

სამწუხაროა ის, რომ ყოვლად პატივცემული ბ. გოგებაშვილი, ჩვენის ენის მოამაგე და მზრუნველი, ისე გაუმწარებია ამ ამბავს, არც კი მოუწადინებია გამოერკვია საქმე და ისე ნათქვამისათვის დაუჯერებია. სამწუხაროა, რომ ბ. იაკობ გოგებაშვილი იმდენად არ იცნობს ორიოდე ჩვენ საზოგადო მოღვაწეს, სჯერა, ვითომ ბ. გიორგი ზდანოვიჩი ან მისი თანამშრომლები, ან ფიქრად გაიტარებენ და მოითმენენ, თუ გინდ უნებლიედ შეცდომით, ქართულის ენის არა თუ დევნის, ერთი ბეწოთიც არის მის შევიწროებას.

ის ვაჟბატონები კი, რომელთაც შეცდომაში შეიყვანეს ბ. იაკობ გოგებაშვილი, შესაძლოა, იმასა ჯავრობენ, რომ ვისიმე ქრისტომატია ვერ გავრცელდება საკმაოდ? ეგ ჩვენი საქმე არ არის, საბჭო ვერავის ქრისტომატიას კომაგობას ვერ გაუწევს და სცდილობს ქართველ ერის ინტერესს ემსახუროს ყოველმხრივ, ყოველგვარად და ყოველ შემთხვევაში. ეჰ, იყო დრო, სულ ამ მოკლე ხანში, როცა ქართველ ერის უფლების წინ წამოყენება და საჯაროდ განცხადება სულ ადვილი საქმე იყო, სულ ცხადად შეგვეძლო ამ უფლების დაცვა და შესაძლო იყო მაშინ, რომ მთელ ერს ეს დიადი საქმე კისრად ედვა და ზოგიერთ მის ცრუ მოციქულებს აბუჩად არ აეგდოთ იგი, შესაძლო იყო, თუ სხვა არაფერი, ამგვარი მცირე საგანი სადაოდაც არ შეგვექნა და... იმ დროს ზოგიერთი ვაჟბატონები იმ ტოტსა სჭრიდა, რომელზედაც თვით იჯდა და არც კი იცოდა, რომ ამ ტოტს თვითაც ჩამოჰყვებოდა... ხოლო როცა ძირს გაენარცხა, თავისი დანაშაული უნდა სხვას მოჰხვიოს კისერზე, თვითონ კი ტბიდან მშრალი ამოძვრეს... ბილწური ოინბაზობაა!

ბ. იაკობ გოგებაშვილს კი, ჩვენ ძვირფასს და საყვარელ აღმზრდელს, რომლის გონების ნაყოფზე ვართ ყველანი ჩვენ აღზრდილნი, გულით ვემუდარებით, ამგვარ შეცდომებს ერიდოს*), თორემ მაზედ უკედ კიდევ ვინ იცის, რომ ამგვარმა ბრაზმორეულმა ინტრიგამ და უკბილო ცილისწამებამ საუკუნოდ ჩირქი მოსცხო ჩვენს ერსა... ნუ თუ ეს დიდი უბედურება გონებას არ მოგვეყვანს?!

კიტა აბაშიძე.

---

*) ერთგვარი მანქანაა, რომელიც მიწის ძვრას აჩვენებს.

[1] იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ საბჭოს აქვს პირველ დაწყებითი სასწავლებლები და საქალაქო სასწავლებელი ჭიათურაში, რომელშიაც ქართულ ენას სათანადო ადგილი უჭირავს, ამ საქალაქო სკოლის დამატებითი განყოფილება იქმნება ის ორი სპეციალური კლასსი სატეხნიკო განყოფილებისა, რომელიც აზრადა აქვს გახსნას საბჭოს.

*) ბ. იაკობ გოგებაშვილისათვის იმდენად უცნობია იმერეთის საქმეები, რომ იმერეთის თავ.-აზნაურობას მოუწვევს მისის თანამშრომლების ბ. გ. ზდანოვიჩის მოსარჩულებლად. სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს.

სპარსეთის ამბები

დეპეშები.

3 აგვისტო.

ურმია. კონსტიტუციონალურ მოძრაობის მეთაურებად მყოფნი გუბერნატორთან მივიდნენ და განუცხადეს, რომ ძველი შაჰის საწინააღმდეგო დემონსტრაციები უნდა გავმართოთო. გუბერნატორმა უთხრა, ურმია ეხლა ცუდ-მდგომარეობაშია, ამასთანავე იგი მოსაზღვრე ქალაქია და დემონსტრაციების გამართვაზე ხელი აიღეთო.

თეირანი. სალარ-უდ-დოულეს მოწინავე რაზმმა ხამადანი ღამე უბრძოლველად აიღო.

ურმია. ადგილობრივმა ენჯუმენმა ნეჯეფის მუშტეიდებისამ, ქირმანის ენჯუმენისა და თეირანელ ვაჭრებისაგან დეპეშა მიიღო. მუშტეიდები ძველ შაჰს ურწმუნო მაჰმადიანსა და სამშობლოს მოღალატეს უწოდებენ. ურმიის ენჯუმენმა საპასუხო დეპეშით აცნობა, რომ ურმიელები ყველანი ერთგულად დაიცავენ კონსტიტუციასო.

ურმია. სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა ერთმა პირმა, ამ ბოლო ხანებში, რაც სახელმწიფონი მაროკოს საქმით არიან გართულნი, ოსმალეთი ურმიაში ახალ ადგილებს იჭერს და ჯარს აძლიერებსო.

რაშიდ-სალტანე.

ბახტიარებსა და მაჰმედ-ალის მომხრეთ ფირიუზასთან ბრძოლა მოუხდათ. მაჰმედ-ალის რაზმის მეთაური რაშიდ-სალტანე დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა ბახტიარებს. იგი თეირანში უნდა მიეყვანათ და იქ საჯაროდ მოეკლათ, მაგრამ მეჯლისმა ამის უარი სთქვა. მისი სურვილი იყო, რაშიდი ადგილობრივ გაესამართლებინათ და იქვე დაეხვრიტათ, შემდეგ კი ამბავი მოვიდა, რაშიდ-სალტანე ჭრილობით მოკვდაო. ბახტიარები ამბობენ, რომ ჩვენ მცირე ზარალი მოგვივიდა, რაშიდ-სალტანეს რაზმებს კი 60 კაცამდე მოუკვდაო.

ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში სპარსეთის შინაური ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული რაშიდ-სალტანესთან. რა წამს არეულობა დაიწყო, რაშიდ-სალტანემაც უწესოებას მიჰყო ხელი და ქრთამით ყველას საქმეს უკეთებდა.

ამ ზამთარ, როცა საპეხდარმა დემოკრატების დასუსტება მოინდომა, რაშიდ-სალტანემ მაზანდარში სარცვა-რბევა დაიწყო და დემოკრატებმა ვერაფერი გააწყეს. მის საწინააღმდეგოდ გაიგზავნა ჯარი, რომელსაც ამირ-აზორი ჰმეთაურობდა, (ამირ-აზორი შემდეგ საპეხდარის კაბინეთში სამხედრო მინისტრად იყო); ამირ-აზორი გაიქცა. შემდეგ დემოკრატებს ერთი წერილი ჩაუვარდათ ხელში; წერილი რაშიდ-სალტანესთან იყო მიწერილი; ამ წერილით მას საპეხდარი, სარდარ-ასადი და ამირ-აზორი მეგობარს უწოდებდნენ. ეხლა ეს მეგობარი სარდარ-ასადის ერთგულ ბახტიარების ხელით მოკვდა.

რაშიდ-სალტანეს დატყვევებამ თეირანში დიდი გავლენა მოახდინა. მაჰმედ-ალის სპარსეთში მისვლამდის მან პირველმა დაიწყო მის სასარგებლოდ მოქმედება და ბოლოს იარაღიც იხმარა. რაშიდ-სალტანეს ხელში იყო ხორასანი და გაზაფხულზე თეირანსაც კი ემუქრებოდა. რეგენტმა რაშიდ-სალტანეს უბრალო ყაჩაღი დაარქვა, მაგრამ სპარსეთში ასეთ უბრალო ყაჩაღებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ ხოლმე, ვიდრე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთ.

ამ ორი კვირის წინად, რაშიდ-სალტანემ მთავრობას წერილი მისწერა, ფული მომეცით და ძველ შაჰს მოვკლავო. მთავრობამ ეს წინადადება მიიღო, მაგრამ რაშიდ-სალტანე მაინც დაატუსაღეს.

ხელში ჩაუვარდა მთავრობის ჯარს აგრეთვე მუაზად-ულ-მულკი, იგი დაგმანთან ბრძოლის დროს თითონ დაჰნებდა. მოაზადი თეირანს მიიყვანეს და სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეს; სასამართლო საქმის გარჩევას უკვე შეუდგა.

თავისუფალი მეომრები

თეირანი ახლა ისეთ ქალაქსა ჰგავს, რომელიც საომრად ემზადება. ქუჩები შეიარაღებულ ხალხითაა სავსე. თავისუფალ მეომართა რაზმი ქალაქ გარედ ტყვიის მტყორცნელების სროლას ვარჯიშობდა. ამ რაზმს კვირას უნდა გაელაშქრა.

ის ხმა, ვითომც ეფრემმა მთავრობას უღალატაო, პროვოკაცია გამოდგა. თავისუფალი მეომრები სწორედ მისმა მეცადინეობამ შეაგროვა.

რუსეთი

საზღვაო სამინისტრო. საზღვაო სამინისტროში გადაწყდა ორი დიდი დრედნოუტი შეუკვეთეს სახაზინო ქარხანას და ერთიც ნიკოლოზის ქარხანას. წყალ ქვეშ მავალი ნავი შეუკვეთნია მეღოქე ქარხნებს. ყველა ამ გადაწყვეტილებას ამ დღეებში მინისტრთა საბჭოს სატეხნიკო კომისია განიხილავს.

გაფიცვა პეტერბურგის ნავთსადგურში. ექსპორტიორთა და მუშათა შემთანხმებელმა კომისიამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომ გაფიცვა დასრულდეს, მაგრამ მუშების უმეტესი ნაწილი მუშაობას ხელს არა ჰკიდებს, რადგანაც ყველა მოთხოვნილება არ არის შესრულებული. თვიურ მუშათა რიცხვი უფრო შემცირდა. დღიურ მუშათა რიცხვს კი მიემატა. კომისიის გადაწყვეტილების ხელის-მომწერმა დეპუტატებმა მუშაობის დაწყებას მხოლოდ 500 გაფიცული მუშა დაითანხმეს. კომისიის გადაწყვეტილება განიხილა პეტერბურგის ბირჟის კომიტეტმა და რეზოლიუცია არა სცნო სავალდებულოდ, რადგანაც კრებას მსხვილ ექსპორტიორთა წარმომადგენელნი არ დასწრებიანო.

საფრენ მანქანათა შეჯიბრება. მინისტრთა საბჭომ მიანდო სამხედრო მინისტრს ითხოვოს 75 ათასი მანეთი, 1912 წელს საფრენ მანქანათა შეჯიბრების მოსახდენად.

მშობიარეთა დაზღვევა ფინლიანდიაში. მინისტრთა საბჭომ ნება დართო დადგენილ კანონით მსვლელობა მიეცეს ფინლიანდიის სეიმის პროექტს ფინლიანდიაში დედათა დაზღვევისა.

უმაღლეს სასწავლებლები. მომავალ წელს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ვაკანსიები მეტია მთხოვნელებზე.

დასავლეთ გუბერნიების ერობამ ნაციონალისტების იმედები არ გაამართლა. თითქმის ყველგან ისინი უმცირესობას შეადგენენ. ვოლინის და მინსკის გუბერნიაში ისინი ცხადად დამარცხდნენ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო.

საზღვარ-გარედ.

ლონდონი. მეფფილდის ოლქში შველა მეისრე გაიფიცა. თუმცა სხვა ოლქებიდან მუშები გაიგზავნა, მაგრამ მოძრაობა მაინც შეფერხდა.

ლივერპული. რკინის გზათა მოსამსახურეებმა მიტინგზე საერთო გაფიცვის გამოცხადება გადასწყვიტეს. თხოულობენ, რომ რკინის გზათა საზოგადოებებმა 24 საათში დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი.

მანჩესტერი. მატარებელთა მოძრაობა თითქმის შესწყდა. ბევრი ფეხით დადის. სანოვაგეც შემცირდა. მეღუქნეებმა შინაურ საქმეთა მინისტრს სთხოვეს დაგვიცავითო.

ლივერპული. 3000 კაცი დაეცა ეტლს, რომელსაც ტუსაღები მიჰყავდა. ტუსაღებს ცხენოსანი ჯარის კაცნი მოსდევდნენ. ცხენოსნებმა სროლა ასტეხეს. 20 კაცი დაიჭრა. ერთი მოკვდა.

ურმია. შეიხმა აბდულ-კადირმა მანგურთა თემის მეთაურთა თანადასწრებით სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, რომ ქურთებმა ყაჩაღობას თავი უნდა დაანებონ და სკოლები გახსნანო.

ყაჩაღი მამედირინი სოფელ ბლისტანის ბატონის ბედელს დაეცა. სოფლელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. შეტაკების დროს სოფლელებს 3 კაცი მოუკვდათ, ორი დაჭრილია, რამდენიმე ტყვედ არის წაყვანილი.

ხოიდან იტყობინებიან, ქურთმა ყაჩაღმა მუქურ-ადამ რუსის საკონსულოს აგენტის სოფელი გაცარცვა. 15 მსხვილი და 6000 წვრილი საქონელი გარეკა.

შამშადიდან იტყობინებიან, რომ იქ ყაჩაღებს ორხი სოფელი გაუძარცვავთ და ხალხიც დაუხოცნიათ.

სტამბოლი. იემენის იმამ. იახიასთან მოლაპარაკება თავდება. იახია თითქმის სრულ ავტონომიას მიიღებს.

აგრიგორასტთან ალბანელებსა და ჯარს შეტაკება მოუხდათ. ორივე მხარემ ბევრი დაჰკარგა. პოდგორიცასთანაც მოხდა შეტაკება, მაგრამ ალბანელები და ჩერნოგორელები ჯარმა უკუ აქცია და ჩერნოგორიას გადადევნა.

რუსეთი.

შუშა. სპარსელი ყაჩაღები დაეცნენ სოფ. ხანურდუს. ორი კაცი ტყვედ წაიყვანეს.

პეტერბურგი. გაზ. „რეჩი"-ს რედაქტორი დააჯარიმეს 300 მ. 209 ნომერში მოთავსებულ წერილისათვის საქალებო ინსტიტუტის საქმეების შესახებ.

პეტროპავლოვსკი. გვალვის შემდეგ მთელი ორი კვირა წვიმა მოდის და მკას უშლის. ხორბლეულის ფასმა იმატა. შინაურ ფრინველებსა და ცხოველებისამ ერთი სამად იკლო.

პეტერბურგი. ხელმწიფეს წარუდგა „ნაკაზნოი ატამანი" დონის ყაზახთა—მიშჩენკო.

ოდესა. ხორბლეულის გამტანთა და გემების პატრონთა კომისიამ გამოარკვია, რომ სადგურს ყოველდღე ასასი ვაგონი ხორბლეული და სიმინდი მოაწყდება.

თეატრი და ხელოვნება

დაბა სურამში. კვირას, 7 აგვისტოს, მსახიობის **ნიკო გვარაძის სებენეფისოდ** წარმოდგენილი იქმნება „ნიშანი ყოფაქცევაში".

წვრილი ამბები

ჩინელი რედაქტორი. გაზეთ „ნიუ-ორკის ჰეროლდი"-ს გამომცემელს ბენეტუსს აზრად მოუვიდა თავის აუარებელ რედაქტორთა რიცხვისათვის ერთი რედაქტორიც მიემატებინა—ჩინელი. ანგარიში ასეთი ჰქონდა: ამერიკაში ჩინელები ბლომად არიან, მათ, რასაკვირველია, ესიამოვნებათ თუ გაზეთში თავის ქვეყნის ამბავს სამშობლო ენაზე წაიკითხავენო. რამდენიმე ხნის შემდეგ გამომცემელმა ბრძანა ჩინელ-რედაქტორის ნაწერის ინგლისურად გადათარგმნა. გადათარგმნეს და აი რა ეწერა: „როცა ჩვენი ძმების, ჩინელების, თვალი შეხვდება ამ სტრიქონებს, მათ მიიღონ ჩვენგან სალამი და 90 ღმერთის წყალობა. თუ რომელიმე „ძაღლი ქრისტიანი" შეეკითხოს მათ, თუ რას წერია ამ სტრიქონებში, დაე მათ უპასუხონ, რომ აქ სწერია, დამღუპველ და სისხლის ღვრის ამბავი ბრძოლაა, რომელთაც ჩინელები და ევროპიელები ეწევიან. ეს გაზეთი ქრისტიან მურას ეკუთვნის და ამიტომ ყოველმა ჩინელმა, ვინც კი თავის თავს პატივსა სცემს, უნდა დააფურთხოს".

ამ წერილმა ამერიკის ჩინელები დიდად გაამწარა.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ „სახალხო გაზეთში" წ. კ. საზ. თელავის განყოფილების სასარგებლოდ 20 ივლისს გამართულ ილია ჭავჭავაძის საღამოს ანგარიშს:

შემოსავალი: ბილეთები გაიყიდა 269 მან. 20 კ. შემოწირულება—41 მ. 10 კ. ვახშმიდან 15 მ. სულ 325 მ. 30 კ. კიდევ შემოვიდა 116 მან. 58 კაპ. **სულ 441 მან. 88 კაპ.**

ხარჯი: ბილეთების მარკები 16 მ. 40 კ., თხოვნის მარკები და გაგზავნა 1 მ. 57 კ., აფიშა—5 მ. 50 კ. პარიკმახერს 3 მ. გოროდოვოებს—2 მ., კლუბის ქირა 10 მან. კლ. ლაქიებს 3 მ. 50 კ., ბენგ. ცეცხლი 3 მ. 53 კ., სანთელი 1 მ. 50 კ., მუშებს და მოსამსახურეებს 6 მან., სკამ. ქირა 1 მ., ბუფ. ხილი 3 მ. 20 კ. ვახშამი—59 მან. 20 კ. ღვინო 4 მ. 95 კ., წვრილი ხარჯი: ფიცარი, კარდონი, სადებავი, თოკი, ლურსმანი ხელფასი და სხვ. 16 მან. 87 კ. მსახიობთ 25 მან. და ნოტები—5 მან. სულ 169 მან. 92 კაპ.

წმინდა დარჩა 271 მან. 96 კაპ.

წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის სახელით, და ჩემის მხრივ, მადლობას ვწირავ უპირველეს ყოვლისა მცხოვან აკაკი წერეთელს, რომელმაც ამ საღამოს დასწრებით და ლექსის წარმოთქმით გააბრწყინა მისი შინაარსი.

ბ-ნ ზაქარია ჩხიკვაძეს, მომღერალთა გუნდის მომზადებისათვის და გუნდში მონაწილეობის მიმღებთ: ან. თათუხაშვილისას, კნ. რუსიევისას, ნ. ლომიძისას, მარქაროვისას, ბ. ბახუტოვისას, ნ. მონადირიშვილისას ნ. და ვ. ბარძიმოვებს, ნ. მაისურაძისას, მ. ნანუკოვისას და ნავრუზოვისას და ბ-ნთ: ონ. ჭიკაძეს, ივ. გამყრელიძეს, თავ ჩოლოყაშვილს, თ. ჩანგაშვილს, დ. ჩეკურიშვილს, მ. სუკაჩევს, ა. ბაქრაძეს, ვ. კოლიევს, ლ. მელვინეოხუცესოვს და ა. მესხს.

კნ. ელო ანდრონიკაშვილს და თ. შალვა ღადიანს „ბატონი და ყმას" წარმოდგენისათვის და მოთამაშე სცენის მოყვარეთ: ი. კაკაბაძეს; ი. თეთრიანელს, არ. ჩხიკვაძეს, დ. ჩეკურიშვილს და ა. მესხს და ნ. ღუდუშაურს და ილ. ვახვახიშვილს.

ბ-ნ. მელქო აჯიმამუდოვს, სურათების დადგმისათვის და ვ. სიდამონოვ-ერისთავს, გ. ჩიკვაიძეს, ნ. ფიცხელაურს, თავ ი. რუსიევს და მონაწილეობის მიმღებთ: კნ. მ. ჯორჯაძისას, კნ. ე. ჯაფარიძისას, ქ-ნთ ჩხიკვაძისას და აივაზოვისას და თ. გ. ზ. ჭავჭავაძეს. სიმებიან ორკესტრში მონაწილეობის მიმღებთ: ბ-ნთ მ. დავიდოვს, შ. ჭელიძეს, ნარეკლევს, გ სულხანოვს, ცისკარაშვილს, ციცკიევს, ალხაზოვს, კიკნაძეს, ტერ-დავიდოვს და მარქაროვს.

აგრეთვე მადლობას ვუძღვნი თავ. მ. ა. მუხრანსკის 10 მან. ტრ ბააკაშვილს 1 მ. 65 კ., ნ. ჯაფარიძეს 1 მ. 20 კ., ი. ლომიძეს, გ. თუშმალოვს და ელ. ლუკაჭკაიას მანეთის შემოწირულებისათვის.

კნ. ევ. ჯორჯაძისას, კნ. მ. რუსიევისას და კნ. თ. აბაშიძისას სანოვაგის გამოგზავნისათვის, თელავ. საკრებულოს მამასახლისთა საბჭოს, ბ-ნთ არ. ტერ-სარქისოვს, ივ. ყულიჯანაშვილს, ივ. ბარკალაიას, ივ. სპარსიაშვილს, ი. ყულიჯანოვს, შ. სარალიძეს და ყველა იმ პირთ, ვინც ამ საღამოს გამართვაში რაიმე მონაწილეობა მიიღო და პირადად დასწრებით დახმარება აღმოუჩინა წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილებას.

საღამოს დიასახლისი
წევრი ქ. ა. რუხიშვილი.
გამგეობის ხაზინადარი
ვანო პაპაშვილი.

—

დიდად პატივცემულო, ბ. რედაქტორო! როგორც სხვა რკინის გზის სადგურებიდან ხშირადაა, შორაპნის რკინის გზის სადგურიდანაც თქვენი გაზეთის ფურცლებზე ახალ ამბად მოთავსებულია სხვა-და-სხვა ცნობები, რომლებიც მე არ მეკუთვნის და ზოგიერთ ვაჟბატონს იერიში კი ჩემზე მოაქვს; ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ არც ერთი ამბავი არ მომიწვდია და მით მიხსნათ უსაფუძვლო ბრალდებისაგან.

თქვენი მორჩილი, აეტი სოგრატის ძე გეწაძე.*)

---

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ა. ს. გეწაძე ჩვენი კორესპოდენტი არასოდეს არა ყოფილა. რედ.

განცხადებანი

დოქტ. ნაგასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დილით:
ბ. ა. ნაგასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.
ბ. გ. ბაგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.
საღამოთი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. გ. გევორქოვა-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ო. ფ. გარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტაციურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნაგასარდიანი.
(წ. (1168—101)

ვაუქმებ რწმუნების ქაღალდს, რომელიც 1900 წ. 5 სექტემბერს, ტფილისელ ნოტარიუს ტურკოვსკის შემოწმებით (რეესტ. № 8768) მივეცი ნესტორ კონსტანტინეს ძე თარხნიშვილს ჩემს საქმეების საწარმოებლად.
ეკატერინე ნინეს ასული ქარხელაძე იგივე თარხნიშვილი. (1—753—1)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

კრემი
„მეტამორფოზა"
აფთ.
ა. მ. ოსტროუმოვისა
სრულებით აშორებს
ჭორფლსა და ნაოჭებს
და კანსაც იფარავს, რომ მეორედ აღარ გამოაჩნდეს.
ვისაც ჭორფლი არა აქვს და უნდა რომ არც გამოაჩნდეს ვურჩევთ იხმარონ კრემი
„ალბადერმა"
რომლის ნაწილიც შეზავებულია კრემ მეტ მორფოზში.
მოითხოვეთ ყველგან.
Мецль N 253950 (10—1382—6)

ვურჩევთ
ბრინჯის ჰიგიენურ
პუდრთა მეფეს
La Reine des poudres
სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).
1900 წ. პარიზის ოქროს მედალი
პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.
„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".
ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ С. ПЕТЕРБУРГСКАЯ
მთავარი საწყობი:
ტფილისი, საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
(11—1295—3)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზია
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა
გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიც 50 კ.
აგრე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1053—)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი წიგნები:
თხ. არჩ. ჯორჯაძისა: წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო". . . . ფ. 75 კ.
" " : წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . ფ. 80 კ.
Baton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ლევან", 4 მოქმ. დრამა . . . ფ. 40 კ.
შიუკაშვილისა: „მეგობრობა", 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

გაფრთხილება
ვინც იტანჯება
ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.
გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობად ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება „სპერმინ-პელა" ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უქმვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦
органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С-вья.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
ავადმყოფებს
(Метцль и К-о. № 54437.) (12—1261—10)

სტამბა „ორიანი" [illegible] ქუჩაზე.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. [illegible]